საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/33 « 1 » აპრილი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ. აკობიას გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

2017 წლის 6 დეკემბრიდან გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში საქმეთა განსახილველად მივლინებულ იქნა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მანუჩარ ცაცუა. მ. ცაცუა, გარდა მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებისა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს ასევე რაიონულ სასამართლოში და იხილავს სამოქალაქო სპეციალიზაციის საქმეებს. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მისი დატვირთულობიდან გამომდინარე, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში საქმეთა განსახილველად 2018 წლის 13 მარტიდან 2019 წლის 13 მარტამდე მივლინებულ იქნა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლე შოთა ბიჭია.

2019 წლის 13 მარტის შემდეგ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში უფლებამოსილებას კვლავ ერთი მოსამართლე ახორციელებს. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში, მოსამართლის მივლინების მიზნით, უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს. მიღებულ იქნა მოსამართლე ნატრული აკობიას თანხმობა მივლინებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მივლინება არ გამოიწვევს მოსამართლის სამუშაო ადგილის ცვლილებას, რადგან გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო განთავსებულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობაში.

მიზანშეწონილია, ნ. აკობიამ მივლინების შემდეგ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში განიხილოს სისხლის სამართლის საქმეები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 37^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნატრული აკობია მივლინებულ იქნეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად, 2019 წლის 1 აპრილიდან 2020 წლის 1 აპრილამდე.

2. ნატრული აკობიამ იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.



გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი